სსიპ სახელმწიფო
შესყიდვების
სააგენტო

15 / აგვისტო / 2025 წ.

KA080153423700425

№ **2349**

განკარგულება

შპს „ძმების“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო;

ტენდერის ნომერი: NAT210014540;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ძმები“ (ს/ნ: 448411086);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2025 წლის 25 ივნისს წარმოდგენილ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს 2025 წლის 20 ივნისის № MES7250000741012 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 5171), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ძმების“ (ს/ნ: 448411086) მიერ NAT210014540 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2021 წლის 22 ოქტომბერს დადებული № 151 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ltd-zmebi@mail.ru მეშვეობით, 2025 წლის 27 ივნისის № 1651 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2025 წლის 4 ივლისს სააგენტოში წარმოადგინა 2025 წლის 4 ივლისის № 25/07-3 განმარტება (რეგისტრაციის № 5483) 2021 წლის 22 ოქტომბერს დადებული № 151სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული 2021 წლის 22 ოქტომბერს დადებული № 151 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა.

3. მიმწოდებლის პოზიცია

3.1. მიმწოდებლის განმარტების თანახმად, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში აღმოჩენილი უზუსტობებისა და დამატებით საჭირო სამუშაოების შესრულების მიზნით 2023 წლის 2 ივნისის № 4 და 2024 წლის 5 აგვისტოს № 11 შეთანხმებებით დაკორექტირდა არსებული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ხელშეკრულების ჯამური ღირებულება გაიზარდა 25 240,09 ლარით, თუმცა მათ შესასრულებლად საჭირო ვადა არ იქნა განსაზღვრული და გათვალისწინებული. რაც შეეხება უშუალოდ შესრულებული სამუშაოების ხარისხსა და შინაარსს, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ 2025 წლის 20 ივნისის № MES7250000741012 წერილში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით, მიმწოდებელი განმარტავს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 5.5 პუნქტი არეგულირებდა სწორედ იმ შემთხვევას, როდესაც სამუშაოები ჩაითვლებოდა წუნდებულად და მიუთითებდა მისი აღმოფხვრის გზებზე დამატებითი ვადის განსაზღვრით, ან/და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით ანაზღაურებით. მიუხედავად აღნიშნულისა, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაინც ერთადერთ გამოსავლად მიიჩნია ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა, მათ შორის კოროზირებული ლითონის ბოძების გამო.

3.2. მიმწოდებელი ასევე უთითებს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება ხდებოდა აჭარაში, რომელიც ხელშეკრულების გაფორმების წელს, დიდი რაოდენობით არსებული ნალექისა და თოვლის გამო განსაკუთრებით დაზარალდა. ბუნებრივია, სწორი ექსპლუატაციის არქონის პირობებში დაზიანდებოდა შენობის როგორც კედლები ასევე სახურავი. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ფოტოებით დასტურდებოდა, რომ სახურავი სავსე იყო ხეებიდან ჩამოცვენილი ტოტებით, ფოთლებით და სხვა ნარჩენებით, რაც გადათოვლისა და გაწმენდითი სამუშაოების არ ჩატარების შემთხვევაში ბუნებრივია გამოიწვევდა წყლის შეგუბებას და შესაბამისად კედლების დაზიანებას. ასევე არ მომხდარა შენობის გარე პერიმეტრის გაწმენდა თოვლისგან და რამდენიმე მეტრის სიმაღლის თოვლის მასა კვირების განმავლობაში აზიანებდა კედლებს, რამაც ხელი შეუწყო კედლების შიდა და გარე მხარეს ნესტისა და ობის გაჩენას.

3.3. მიმწოდებელი განმარტავს, რომ სამუშაოების მიმდინარეობის არცერთ ეტაპზე მისი მხრიდან არ ყოფილა ხარვეზების გამოსწორებაზე უარის თქმის შემთხვევა, მიუხედავად იმისა აღნიშნული ხარვეზები იყო თუ არა გამოწვეული მისი ბრალეულობით. მიმწოდებელმა, ხარვეზების გამოსწორებაზე თანხმობა და მზადყოფნა გამოხატა შემსყიდველ ორგანიზაციაში 2025 წლის 24 და 25 ივნისს გაგზავნილი წერილებით. მიუხედავად მიმწოდებლის მცდელობისა, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დაესრულებინა სამშენებლო სამუშაოები, მშენებლობის მიმდინარეობის პროცესში აღმოჩნდა მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მრავალი ობიექტური გარემოება, რამაც შეუძლებელი გახადა სამუშაოების დასრულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში. შემაფერხებელი გარემოებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო მკაცრი კლიმატური პირობები და სამუშაოების შესრულებისას პარალელურად მიმდინარე სასწავლო პროცესი. აღნიშნული გარემოებები მნიშვნელოვნად აფერხებდა სამუშაოების მიმდინარეობის ტემპს. არაერთხელ ყოფილა შემთხვევა ახლად შესრულებული სამუშაოების დაზიანების (მაგ., ლესვა, ღებვა და ა.შ). შესაბამისად, საჭირო ხდებოდა მათი ხელახლა შესრულება რაც დაკავშირებული იყო დროსთან და მნიშვნელოვან ფინანსურ სახსრებთან.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2021 წლის 22 ოქტომბერს, NAT210014540 ელექტრონული ტენდერის საშუალებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა (ამჟამად, განათლებისა და სპორტის) და შპს „ძმებს“ (ს/ნ: 448411086) შორის დაიდო № 151 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა შეესრულებინა სამუშაო, ხელშეკრულების დადებიდან 12 თვის ვადაში (ვადის ცვლილების საფუძველს არ წარმოადგენდა თოვლი, წვიმა და სხვა მსგავსი მეტეოროლოგიური მოვლენები (მოწოდების ვადა განისაზღვრა მსგავსი გარემოებების გათვალისწინებით), ობიექტის მიმდებარე, ასევე კორპუსის მიმდებარე სხვა სამუშაოები და სასწავლო პროცესი. ამასთან, ძირითადი კორპუსის ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოები, ძირითადად უნდა განხორციელებულიყო 2022 წლის ზაფხულის პერიოდში). ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 628 140,87ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2022 წლის 31 დეკემბერი.

4.2. მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმების აქტებით ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 653 380,96 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2025 წლის 20 ივნისი.

4.3. საქმეში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 28 ივლისის № MES7230000942264 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელს, მიუხედავად ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის გასვლისა, სამუშაოების წარმოება ფაქტიურად შეჩერებული ჰქონდა. ამდენად, ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა, რომ ხუთი დღის ვადაში განეახლებინა სამუშაოების შესრულება და ეცნობა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდებოდა.

4.4. საქმეში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის 2025 წლის 21 მაისის № MES0250000557263 წერილით დგინდება, რომ 2025 წლის 20 მაისის მდგომარეობით, გარკვეული სამუშაოები დასასრულებელი იყო, ასევე სამუშაოების ნაწილი ხარვეზებით იყო შესრულებული. კერძოდ, ღია სპორტული მოედნის ლითონის

კონსტრუქციები კოროზირებული იყო, სპორტდარბაზის ფასადიდან და სახურავიდან ჟონავდა წყალი, გადასაღები იყო სპორტდარბაზის შიდა კედლების და ჭერების ნაწილი, სპორტდარბაზის იატაკი ნაწილობრივ დაზიანებული იყო შემოსული წყლისგან, სპორტდარბაზის ნაწილში გათბობა არ მუშაობდა, გაუმართავი იყო კანალიზაციის სისტემა, საქვაბის საკვამლე მილი არ შეესაბამებოდა სტანდარტებს. ამდენად, ამავე წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა, რომ ხუთი დღის ვადაში გამოესწორებინა გამოვლენილი ხარვეზები, დაესრულებინა ყველა სამუშაო და წარედგინა საბოლოო ფორმა №2. ამავე წერილით ეცნობა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდებოდა.

4.5. საქმეში არსებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის წევრების 2025 წლის 20 ივნისის № MES3250000730614 მოხსენებითი ბარათის თანახმად, ინსპექტირების ჯგუფის წევრების მიერ 2025 წლის 20 ივნისს ინსპექტირების განხორციელებისას დადგინდა, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიმწოდებლისთვის 2025 წლის 21 მაისს გაგზავნილ წერილში აღწერილი ხარვეზების მცირე ნაწილზე დაწყებული იყო გამოსასწორებელი სამუშაოები, მაგრამ ხარვეზების ძირითადი ნაწილი არ იყო აღმოფხვრილი. კერძოდ, ღია სპორტული მოედნის ლითონის კონსტრუქციები კოროზირებული იყო, სპორტდარბაზის ფასადიდან და სახურავიდან ჟონავდა წყალი, გადასაღები იყო სპორტდარბაზის შიდა კედლების და ჭერების ნაწილი, სპორტდარბაზის იატაკი ნაწილობრივ დაზიანებული იყო შემოსული წყლისგან, სპორტდარბაზის ნაწილში გათბობა არ მუშაობდა, გაუმართავი იყო კანალიზაციის სისტემა, საქვაბის საკვამლე მილი არ შეესაბამებოდა სტანდარტებს.

4.6. შემსყიდველი ორგანიზაციის 2025 წლის 20 ივნისის № MES6250000732138 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელმა მიუხედავად გაფრთხილებისა ვერ გამოასწორა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოვლენილი ხარვეზები. ამდენად, ამავე წერილით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს აცნობა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე.

4.7. მიმწოდებელმა 2025 წლის 24 ივნისის №25/89 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ იგი აღიარებდა მის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევას და სამუშაოების მიმდინარეობის შეფერხებას, თუმცა ასევე განმარტავდა, რომ აღნიშნული შეფერხებები გამოწვეული იყო გარე ხელისშემშლელი გარემოებებით. ამავე წერილით, მიმწოდებელი ადასტურებდა, რომ მას შესრულება არ წარუდგენია და დასასრულებელი ჰქონდა სამუშაოების ნაწილი. ამავე წერილით, მიმწოდებელს სურდა დამატებით მიეწოდებინა შემსყიდველი ორგანიზაციისთვის სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ სრული ინფორმაცია. კერძოდ, მშენებლობასთან დაკავშირებით ყველა ხარვეზი გამოსწორებული იყო და შესაბამისობაში იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. დარჩენილი იყო ხარვეზების გამოსასწორებელი სამღებრო სამუშაოების მცირე ნაწილი, რომლის დასრულებას მაქსიმუმ სამი დღე ესაჭიროებოდა. მიმწოდებელს შესრულებულ/დასრულებულ სამუშაოებზე გაკეთებული და წარდგენილი ჰქონდა სამინისტროში ექსპერტიზის დასკვნა, სადაც დასტურდება სამუშაოების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა. გამოვლენილი ხარვეზების სამღებრო სამუშაოების გარდა ხელშეკრულების მიმდინარეობაზე ზედამხედველი პირის მიერ დამოწმებული იყო ყველა შესრულებული სამუშაოს შესაბამისობა ხარჯთაღრიცხვებთან. საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელი მზადყოფნას გამოთქვამდა გაეგრძელებინა ან განმეორებით წარედგინა ხელშეკრულების შესრულების/მიმდინარეობის საგარანტიო უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტები. ამავე წერილით, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას სთხოვა რომ მიეცა მისთვის შესაძლებლობა გამოესწორებინა გამოვლენილი ხარვეზები და სამი დღის ვადაში წარედგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტები.

4.8. მიმწოდებელმა 2025 წლის 26 ივნისის № 25/91 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ საბოლოო ფორმა №2-ის წარდგენის დროს არც ექსპერტს და არც ზედამხედველს ხარვეზების არსებობა არ დაუდასტურებია, არამედ აღნიშნული ხარვეზები გამოვლინდა ფორმა № 2-ის წარდგენის შემდეგ. მიმწოდებელმა განმარტა, რომ იგი არ არიდებდა თავს ხარვეზების გამოსწორებას, რადგან ხელშეკრულება მას ავალდებულებდა ხარვეზები გამოესწორებინა საგარანტიო ვადებში, რაც არ დარღვეულა. ამასთან, ხარვეზი არ გამოჩენილა სკოლის შენობის სამუშაოებზე, ხარვეზი გამოჩნდა ახლად გაკეთებულ და დასრულებულ სპორტულ დარბაზზე. ხელშეკრულების მოქმედების ვადაში მან დაიწყო ხარვეზის გამოსწორება, სამუშაოების ნაწილი დასრულებული იყო და მიმდინარეობდა. კერძოდ, დარჩენილი იყო დარბაზის საღებავის სამუშაო რასაც სჭირდებოდა ორი-ოთხი დღე. თუმცა, რადგან შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეწყვიტა ხელშეკრულება, მიმწოდებელი იძულებული გახდა შეეჩერებინა სამუშაოები.

4.9. მხარეთა შორის ხელშეკრულების შესრულებაზე ინსპექტირების განმახორციელებელი შპს „ზაისი და კომპანიის“ 2025 წლის 18 ივლისის №4/28 წერილის თანახმად, შესრულებული სამუშაოების დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ღია სპორტული მოედნის ლითონის კონსტრუქციები გადასაღები იყო, ცალკეული ადგილები კოროზირებული იყო, სპორტდარბაზის შედა კედლებისა და ჭერის ნაწილი გადასაღები იყო, იატაკის ნაწილი (კედლებთან) დაზიანებული იყო, სკოლის ადმინისტრაცულ შენობაში და სპორტდარბაზში დასამონტაჟებელი და გასამართავი იყო სამი გათბობის რადიატორი. კანალიზაციის სისტემა საჭიროებდა
დამატებით გაწმენდას. 2025 წლის 18 ივლისის მდგომარეობით სახურავიდან წყლის ჟონვა არ შეინიშნებოდა. სახურავზე სამ ადგილას გლუვი ლითონის ფურცლის შუა ნაწილში დატანებული იყო ჰიდროიზოლაციის ფირი 15X20 სმ ზომის. გათბობის სისტემის საქვაბის საკვამლე მილის ზომები არ შეესაბამებოდა დადგენილ სტანდარტებს.

4.10. საქმეში არსებული მხარეთა შორის ხელშეკრულების შესრულებაზე ინსპექტირების განმახორციელებელი შპს „ზაისი და კომპანიის“ 2025 წლის 19 ივნისის № 317 ინსპექტირების ანგარიშის თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა 631 404,87 ლარის ღირებულების ვალდებულებები, რაც ხელშეკრულების მოცულობის 97%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ძმებს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2021 წლის 22 ოქტომბერს დადებული №151 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა. ამასთან, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის მითითებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 5.5 პუნქტი არეგულირებდა სწორედ იმ შემთხვევას, როდესაც სამუშაოები ჩაითვლებოდა წუნდებულად და მიუთითებდა მისი აღმოფხვრის გზებზე დამატებითი ვადის განსაზღვრით, ან/და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით ანაზღაურებით. სააგენტო განმარტავს, რომ მიუხედავად სამუშაოების შესრულების ვადის არაერთხელ გაგრძელებისა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებელი ვადის დადგენისა, მიმწოდებელმა მაინც ვერ შეძლო შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის პოზიციაზე იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტზე არსებული კლიმატის პირობების გაუარესების გამო, მას ხელი შეეშალა სამუშაოების შესრულებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტო განმარტავს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა შეესრულებინა სამუშაო, ხელშეკრულების დადებიდან 12 თვის ვადაში (ვადის ცვლილების საფუძველს არ წარმოადგენდა თოვლი, წვიმა და სხვა მსგავსი მეტეოროლოგიური მოვლენები (მოწოდების ვადა განისაზღვრა მსგავსი გარემოებების გათვალისწინებით), ობიექტის მიმდებარე, ასევე კორპუსის მიმდებარე სხვა სამუშაოები და სასწავლო პროცესი. ამასთან, ძირითადი ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოები, ძირითადად უნდა განხორციელებულიყო 2022 წლის ზაფხულის პერიოდში). ამდენად, მიმწოდებლის მიერ დასახელებულ მიზეზს, სააგენტო ვერ მიიჩნევს მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებად. რაც შეეხება მიმწოდებლის მითითებას იმის თაობაზე, რომ მან ხარვეზების გამოსწორებაზე თანხმობა და მზადყოფნა გამოხატა შემსყიდველ ორგანიზაციაში 2025 წლის 24 და 25 ივნისს გაგზავნილი წერილებით. სააგენტო განმარტავს, რომ ზემოხსენებული წერილების გაგზავნა მოხდა ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, ხოლო მიმწოდებლის მიერ აღნიშნული წერილების გაგზავნამდე შემსყიდველმა ორგანიზაციამ არაერთხელ განუსაზღვრა ვადა მიმწოდებელს ხარვეზების გამოსავლენად, რაც არ განხორციელებულა. რაც შეეხება თავად ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტს, სააგენტო მიუთითებს, რომ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია არ შეწყვეტდა ხელშეკრულებას, მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების მოქმედების ვადა ისედაც იწურებოდა 2025 წლის 20 ივნისს. ამდენად, საქმეში არსებული გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შეთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. ამ პუნქტის მიზნებისთვის, თანაზომიერების პრინციპი დაირღვევა, თუ: ა) მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, სულ მცირე, 50%; ბ) მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი „შესრულებული ხელშეკრულება“. ამავე მუხლის 5^1 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.

7.6. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მართალია, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ვალდებულებები, თუმცა სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ შესრულებულ იქნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 97%. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „ძმების“ შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ძმებს“ (ს/ნ: 448411086) 2025 წლის 18 აგვისტოს მიეცეს გაფრთხილება.

2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე